კინგსის მათემატიკის ოლიმპიადა - II ტური

მე-4 კლასი

ძირითადი ამოცანები (40 ქულა)

1. რომელია მცდარი?
   A. 71-(15+9)=47 B. 58-(18+19)=59 C. 43+(35-17)=61
2. ჩამოთვლილთაგან რომელია 67+(45-29)-ის ტოლი?
   A. 79+4 B. 80-3 C. 21+65
3. ჩამოთვლილთაგან რომელია სამ ოცეულზე 5 ერთეულით ნაკლები?
   A. 5 ათეული და 5 ერთეული
   B. 2 ოცეული და 5 ერთეული
   C. 2 ოცეული, 2 ათეული და 5 ერთეული
4. რომელია 19+59-ზე მეტი?
   A. 29+(57-35) B. 53+35-17 C. 37+(53-11)
5. მაქსიმუმ რა შეიძლება დავუმატოთ 37-ს, რომ ის მაინც 79-ზე ნაკლები იყოს?
   A. 41 B. 42 C. 43
6. ამოარჩიეთ უდიდესი:
   A. 76-(29+18) B. 99-(22+45) C. 69-(18+21)
7. პირველ კალათაში 14-ით მეტი სოკოა, ვიდრე მეორეში. რამდენი სოკო უნდა გადავდოთ პირველიდან მეორე კალათაში, რომ მეორე კალათაში აღმოჩნდეს 10-ით მეტი სოკო?
   A. 14 B. 12 C. 24
8. 2 კგ ვაშლი და 4კგ მსხალი ღირს იმდენივე, რამდენიც 3კგ მსხალი და 1 კგ ატამი. 2კგ ვაშლი კი 1 კგ ატამზე 4 ლარით იაფია. რა ღირს 1 კგ მსხალი?
   A. 2 ლარი B. 3 ლარი C. 4 ლარი

ბონუს ამოცანები (10 ქულა)

9. 12, 14, 16, 18 ... გამოიცანით კანონზომიერება და დაასახელეთ მიმდევრობის მე-7 წევრი:
   A. 20 B. 24 C. 36
10. ნიკა ფურცელზე მორიგეობით ხატავდა ფიგურებს. წრის შემდეგ ის აუცილებლად ოთხკუთხედს ხატავდა, ოთხკუთხედის მერე _ აუცილებლად სამკუთხედს, სამკუთხედის შემდეგ _ აუცილებლად ისევ წრეს, მერე ისევ ოთხკუთხედს და ა.შ. ამ სამი ფიგურიდან რომელი ფიგურით დაიწყო ნიკამ ხატვა, თუ მე-13 ფიგურა სამკუთხედია?
    A. სამკუთხედით B. წრით C. ვერ დავადგენთ